

შპს ლიონ შიფინგ გრუპ
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

შენიშვნა		12/31/2023	12/31/2022	12/31/2021
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	-	335,310	70,462
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		4,999,301	3,513,652	1,371,677
სხვა მიმდინარე აქტივები	5	67,217	-	584,360
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,066,518	3,848,962	2,026,500
სულ აქტივები		5,066,518	3,848,962	2,026,500
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	195,051	2,695,843
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	195,051	2,695,843
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	379,321	299,523	1,097,577
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		379,321	299,523	1,097,577
სულ ვალდებულებები		379,321	494,574	3,793,419
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		40	40	40
გაუნაწილებელი მოგება		4,687,157	3,354,347	(1,766,959)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		4,687,197	3,354,387	(1,766,919)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,066,518	3,848,962	2,026,500

შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
დირექტორი დავით დანდინ



შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	7	17,102,831	19,902,854
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		17,102,831	19,902,854
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(15,674,682)	(15,375,719)
ფინანსური ხარჯი		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	9	(28,375)	594,171
მოგება დაბეგვრამდე		1,399,774	5,121,306
მოგების გადასახადი		(10,045)	-
წმინდა მოგება/ზარალი		1,389,730	5,121,306

შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
დირექტორი დავუთ დანდინ



შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023- 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	40	(1,766,959)	(1,766,919)
პერიოდის მოგება	-	5,121,306	5,121,306
დივიდენდის განაწილება	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
ნაშთი - 31.12.2022	40	3,354,347	3,354,387
პერიოდის მოგება	-	1,389,730	1,389,730
დივიდენდის განაწილება	-	(56,920)	(56,920)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
ნაშთი - 31.12.2023	40	4,687,157	4,687,197

შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
დირექტორი დავუთ დანდინ



შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლიონ შიფინგ გრუპ-ი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რეგისტრირებულია საქართველოში 2018 წლის 17 აპრილს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N88.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებული ოპერაციები. კერძოდ, საზღვაო ტრანსპორტის შეკეთება და მენეჯმენტი.

კომპანიის დირექტორი:

- დავუთ დანდინ (პ/ნ 32137834876)

კომპანიის მესაკუთრეები:

- კირილო ტარან (პასპ/ნ FK146517) – 50%
- სერგი ლევჩენკო (პასპ/ნ FT734024) – 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები,

რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9753

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ცვლილებები წარდგენაში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც შესწორებული / რეკლასიფიცირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

კორექტირებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	წინა წლის მონაცემების კორექტირება	კორექტირება რეკლასიფიკაცია	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,513,652	3,513,545	107	კორექტირება
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	30,269	(30,269)	კორექტირება
საგაქრო ვალდებულებები	281,137	307,939	(26,802)	კორექტირება
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,354,347	3,357,707	(3,360)	კორექტირება
დასაქმებულთა ანაზღაურება	(18,386)	-	(18,386)	რეკლასიფიკაცია
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(15,357,333)	(15,343,503)	(13,830)	კორექტირება
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან	596,219	593,623	2,596	კორექტირება
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(1,766,919)	(1,793,179)	26,260	კორექტირება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
მოთხოვნები მომსახურებიდან	-	335,310	70,462
სულ	-	335,310	70,462

5. სხვა მიმდინარე აქტივები

	2023	2022	2021
გადახდილი ავანსები	65,774	-	38,172
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1,444	-	546,189
სულ	67,217	-	584,360

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	379,321	281,137	1,097,577
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	18,386	-
სულ	379,321	299,523	1,097,577

7. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი მომსახურებიდან	17,102,831	19,902,854
სულ	17,102,831	19,902,854

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
საწვავის ხარჯი	(2,331,664)	(2,337,258)
შეკეთების და ტექ-აღჭურვის ხარჯი	(8,333,867)	(7,144,166)
მენეჯმენტის ხარჯი	(2,203,982)	(1,847,762)
საკონსულტაციო ხარჯი	(21,136)	(340,614)
შრომის ანაზღაურება	(19,784)	(18,386)
საპორტო მომსახურების ხარჯი	(2,241,067)	(1,961,485)
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	(9,227)	(8,921)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(21,686)	(683,380)
სადაზღვევო ხარჯი	(152,120)	(679,675)
საბროკერო ხარჯი	(165,070)	(207,199)
სხვა ხარჯი	(175,081)	(146,872)
სულ	(15,674,682)	(15,375,719)

9. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2023	2022
შემოსავალი/(ხარჯი) საკურსო სხვაობიდან	(28,374)	596,219
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(1)	(2,048)
სულ	(28,375)	594,171

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2024 წლის 23 აპრილს.

შპს "ლიონ შიფინგ გრუპ"
დირექტორი დავუთ დანდინ

